ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის კონცეფციის

საჯარო განხილვა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში (შემდგომში, სააგენტო) ერთობლივ საწარმოს CITYFÖRSTER (Lead; Netherlands), BAU Design (JV partner; Georgia) and Buck Consultants International B.V. (JV partner; Netherlands) and in association with Address Georgia LLC (Sub-consultant; Georgia) MOVE Mobility (Sub-consultant; Netherlands) and STS LLC (Sub-consultant; Georgia) (შემდგომში, კონსულტანტი) მიერ წარმოდგენილ იქნა **ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის კონცეფცია**. დოკუმენტაცია შემუშავდა სააგენტოსა და კონსულტანტს შორის 2025 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული N:SUDA/LCIP/QCBS-07 ხელშეკრულების საფუძველზე.

დაგეგმვის მიზანია დასახლებების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ღირსეული, უსაფრთხო გარემოს შექმნა და განვითარება.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული კონცეფცია ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2026 წლის 18 დეკემბერს 12:00 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში მისამართზე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზურგეთი, მე-9 ქუჩა.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება **ქალაქის გენერალური გეგმის კონცეფცია** ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღება გაგრძელდება საჯარო განხილვის ჩატარებიდან **15 სამუშაო დღის განმავლობაში,** სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154) ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქ. N1)

დოკუმენტაცია ატვირთულია შემდეგ ბმულზე: გენერალური გეგმის კონცეფცია